

<p style="text-align: center;">ხელშეკრულება / Contract N 60-7-222-263 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ / on State Procurement ქ. თბილისი / Tbilisi 03.05.2022</p>	
<p>1. მხარეები</p> <p>წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ერთი მხრივ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“-სა, წარმოდგენილი მისი დირექტორის შესყიდვებისა და ლოგისტიკის საკითხებში, დირექტორთა საბჭოს წევრის დავით ვარდიასვილის (მინდობილობა #210506896) სახით (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ „ShiwaForce.com Inc“-ს შორის, წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მოადგილის, ბიზნესის განვითარების განხრით ვიცი პრეზიდენტის ბენჯე ჰოფმანის და დირექტორის (Agile at Scale) კსაბა ფოლდჰეზის სახით (შემდგომში - „მიმწოდებელი“), რომლებიც მოქმედებენ საზოგადოების წესდებისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.</p>	<p>1. Parties</p> <p>The present contract hereof is made by and between „Georgian State Electrosystem“ JSC, represented by its Director in the field of Procurement and Logistics, Member of Board of Directors - David Vardiashvili (power of attorney N200878077) (hereinafter referred to as the „Purchaser“) on one hand, and „ShiwaForce.com Inc“ represented by Deputy CEO/ VP on Business Development Bence Hoffmann and Director of Agile at Scale Csaba Földházi (hereinafter referred to as the „Supplier“) on the other hand, acting on the basis of the charter of the company and in accordance with the applicable legislation.</p>
<p>2. ხელშეკრულების საგანი</p> <p>2.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გაუწიოს „შემსყიდველს“ სს „სსე“-ს ვებ-გვერდის 1 (ერთი) წლიანი მხარდაჭერის მომსახურება (CPV კოდი: 72410000), შემდგომში წოდებული როგორც „მომსახურება“ წინამდებარე ხელშეკრულების, მისი დანართი N1-ის (ფასების ცხრილი) და დანართი N2-ის (ტექნიკური დავალება) შესაბამისად;</p> <p>2.2. დანართი N1 და დანართი N2 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;</p> <p>2.3. წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მესამე პუნქტის „გ“, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 17/08/2015წ. N13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გაცემული №SMP220001177 ნებართვის (სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 21 აპრილის N 1392 განკარგულება) შესაბამისად;</p>	<p>2. Subject of the Contract</p> <p>2.1. The Supplier is obliged to provide to the Purchaser 1 (one) year support service of JSC "GSE" website (CPV code: 72410000), hereinafter referred to as "The Service" in complete accordance with the contract hereof, it's Annex N1 (Price List) and Annex N2 (Technical Specification);</p> <p>2.2. The Annex N1 and Annex N2 are the integral parts of the Contract hereof;</p> <p>2.3. The Contract hereof is drawn in accordance to the subparagraph „C“, paragraph 3, article 10¹ of the Law of Georgia on State Procurement, subparagraph „C“, paragraph 1, article 3 of "The rules for defining simplified procurement criteria and conducting simplified procurement procedures" established on 17/08/2015 by the Order №13 of the Chairman of the State Procurement Agency and approval № SMP220001177 of the LEPL "State Procurement Agency" (decree N1392, 21.04.2022 of the chairmen of LEPL "State Procurement Agency").</p>
<p>3. შესყიდვის ობიექტის ღირებულება და ანგარიშსწორების პირობები</p> <p>3.1. მომსახურების საერთო ღირებულება განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად და შეადგენს 17 500,00 (ჩვიდმეტი ათას ხუთასი) ევროს დღგ-ს გარეშე (შემდგომში - „ხელშეკრულების საერთო ღირებულება“). ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს „მიმწოდებლის“ მიერგაწეულ ყველა ხარჯს, როგორც ეს განსაზღვრულია დანართ N1 და დანართ N2-ში;</p> <p>3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ევროში უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით (საბანკო გადარიცხვის გზით);</p> <p>3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და „მიმწოდებლის“ მიერ ინვოისის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.</p>	<p>3. Value of the Procurement Object and Terms and Conditions of Settlement</p> <p>3.1. The total value of the service is defined in accordance with the Annex N1 (Price list) hereunder and amounts to 17 500,00 (Seventeen thousand five hundred) EUR excluding VAT (hereinafter referred to as the "Total Value of the Contract"). The Contract is lump sum and thus, the total Contract Price includes all the expenses of the Supplier as determined in the Annex N1 and Annex N2;</p> <p>3.2. Settlement shall be carried out in EUR, by means of the non-cash settlement (via bank transfer);</p> <p>3.3. Settlement shall be carried out according to actually provided service within 10 (Ten) banking days after the date of signing delivery acceptance certificate and providing the invoice by the Supplier.</p>
<p>4. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა</p>	<p>4. Terms and place of rendering service</p>

<p>4.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია გაუწიოს „შემსყიდველს“ წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება ელექტრონულად, <u>2022 წლის 28 მაისიდან 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში</u>, წინამდებარე ხელშეკრულებისა და მისი დანართებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.</p>	<p>4.1. The Supplier is liable to render the service to the Purchaser stipulated hereunder electronically, <u>during 12 (twelve) months from the 28th May 2022</u>, according to the terms of the Contract hereof and it's Annexes.</p>
<p>5. მხარეთა უფლება-მოვალეობები</p>	<p>5. Rights and Liabilities of Parties</p>
<p>5.1. „შემსყიდველი“ იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;</p>	<p>5.1. The Purchaser undertakes the liability to pay the value of the actually rendered service to the Supplier in line with the terms and conditions of the Contract hereof;</p>
<p>5.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია „მიმწოდებლისგან“ მოითხოვოს სრული ინფორმაცია გასაწევი მომსახურების მიმდინარეობის შესახებ;</p>	<p>5.2. The Purchaser is entitled to demand complete information about service to be rendered from the Supplier;</p>
<p>5.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ხარისხიანად, კეთილსინდისიერად, არსებული სტანდარტებისა და შემსყიდველის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად;</p>	<p>5.3. „The Supplier” shall be obliged to provide the service stipulated hereunder with due quality, in good faith, in line with the applicable standards and in the best interests of the Purchaser;</p>
<p>5.4. „შემსყიდველი“ ვალდებულია წერილობით შეატყობინოს „მიმწოდებელს“ მიღების დროს გაწეულ მომსახურებაზე შემჩნეული ნაკლის აღმოჩენისთანავე.</p>	<p>5.4. The Purchaser is liable to notify the Supplier in writing about defects detected during acceptance of rendered service.</p>
<p>6. მხარეთა პასუხისმგებლობა</p>	<p>6. Responsibilities of the Parties</p>
<p>6.1. „მიმწოდებლის“ მიზეზით მომსახურების დაგვიანებით, არასრულად, ხარვეზით ან საერთოდ არ გაწევის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მომსახურების ჯეროვნად და სრულად გაწევის დღემდე ან ხელშეკრულების შეწყვეტის დღემდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;</p>	<p>6.1. In case of the service delay, incomplete delivery, delivery with defects or non-rendering of the service due to the fault of the Supplier, the Supplier shall be liable to repay the penalty in amount of 0,1% of the non-rendered service, for each calendar day overdue, till the day of the render of quality service or termination date of the Contract, whichever period occurs earlier;</p>
<p>6.2. „შემსყიდველის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების ვადაგადაცილებით (არადროულად) გადახდის შემთხვევაში, „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია მოითხოვოს „შემსყიდველს“ პირგასამტეხლოს გადახდა გადაუხდელი თანხის 0.1% ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტამდე, ან თანხის სრულად გადახდამდე, რომელი ვადაც უფრო ადრე დადგება;</p>	<p>6.2. In case of delay (delayed) of payment by the Purchaser on the actually rendered service, the Supplier may request the Purchaser payment 0,1% of the unpaid amount for each day of delay, till the termination date of the Contract or fully payment day, whichever period occurs earlier;</p>
<p>6.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია ხელშეკრულების შეუსრულებლობისთვის გადაიხადოს პირგასამტეხლო მაქსიმუმ ხელშეკრულების ღირებულების 3%-ის ოდენობით;</p>	<p>6.3. The „Supplier” is obliged to pay the penalty to the Purchaser, in amount of 3% of the Agreement value as maximum penalty in case of non performance of the Agreement;</p>
<p>6.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ცალმხრივად შეუსრულებლობისათვის მხარეებს ეკისრებათ ვალდებულება აანაზღაურონ მიყენებული ზარალი სრული მოცულობით საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ზარალის ანაზღაურება ან მისი მოთხოვნა არ აჩერებს ამ მუხლით გათვალისწინებულ პირგასამტეხლოს დარიცხვას;</p>	<p>6.4. In case of unilateral non-implementation of the liabilities imposed hereunder, the parties are liable to compensate the caused damage in full according to the rule set by the applicable legislation of Georgia. Compensation of the damage or its demand does not stop accrual of the penalties stipulated by the article hereof;</p>

<p>6.5. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებისას გამოკვეთოს (შემაციფრვოს ანაზღაურება) ამ მუხლით გათვალისწინებული და „მიმწოდებელზე“ დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა „მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხის ოდენობიდან. აღნიშნული გამოკვეთვა არ შეიძლება გახდეს „მიმწოდებლის“ მხრიდან „შემსყიდველისათვის“ 6.2 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დარიცხვის საფუძველი.</p>	<p>6.5. The Purchaser is authorized to deduct (to reduce payment by) accrued penalties and fines envisaged by this article and charged to the Supplier during payment of price of actually rendered service. This deduction cannot be mentioned as a basis of penalty from the Supplier to the Purchaser according to the paragraph 6.2.</p>
<p>7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი 7.1. „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;</p>	<p>7. Control over Implementation of the Contract 7.1. The Purchaser or its representative has the right to implement control over the fulfillment of the Supplier's liabilities at any stage of the Contract;</p>
<p>7.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;</p>	<p>7.2. The Supplier shall be obliged to correct all the defects or faults revealed after such control at its own expense;</p>
<p>7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს „შემსყიდველის“ მხრიდან უზრუნველყოფს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ SCADA-ს და საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი - ზურაბ ბესელია;</p>	<p>7.3. The control over implementation of the Agreement by the „Purchaser“ is carried out by the Head of the SCADA ad IT Department – Zurab Beselia of JSC “Georgian State Electrosystem”;</p>
<p>7.4. კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და მომსახურების გაწევის ვადების შესაბამისობით ხელშეკრულების პირობებთან.</p>	<p>7.4. The control is carried out through compliance of the quality and terms of rendering of the Service with the terms and the conditions of the Contract.</p>
<p>8. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი 8.1. „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ შორის მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება ფაქტიურად გაწეულ მომსახურებაზე;</p>	<p>8. Delivery-Acceptance Procedure of Purchase Object 8.1. The delivery-acceptance certificate between “the Supplier” and “the Purchaser” shall be concluded on the actually rendered service;</p>
<p>8.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირები არიან დირექტორთა საბჭოს შესაბამისი წევრები ან / და შესაბამისი დეპარტამენტის უფროსები;</p>	<p>8.2. Person defined to sign the Delivery – Acceptance Certificate by the „Purchaser” is the relevant Member of Board of Directors of “GSE” JSC and / or the head of the relevant department.</p>
<p>8.3. მომსახურების გაწევისას „შემსყიდველის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტით განსაზღვრული პირი ამოწმებს გაწეული მომსახურების შესაბამისობას წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან. ხარვეზების (წუნდების) არ არსებობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ და „მიმწოდებელს“ შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი ფაქტობრივად გაწეულ მომსახურებაზე;</p>	<p>8.3. The person defined by the Purchaser according to the subparagraph 7.3 of paragraph 7 hereunder shall check the compliance of the rendered service with the terms and conditions of this Contract. In case of absence of defect, the Delivery-Acceptance Certificate shall be concluded on the actually rendered Service;</p>
<p>8.4. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისთანავე.</p>	<p>8.4. The service shall be considered as accepted upon signing of the delivery-acceptance act by and between the parties.</p>
<p>9. ფორს-მაჟორი 9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს პირგასამტეხლოს გამოყენებას;</p>	<p>9. Force-Majeure 9.1. Suspension of the terms and conditions of the Contract or any of them due to incurring of the force-majeure circumstances shall not be considered as non-implementation or violation of the terms and conditions of the Contract hereof and will not cause imposing of the penalty sanctions;</p>

<p>9.2. ამ მუხლის მიზნებისთვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისთვის გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მათ შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ტერორისტული აქტებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით და სხვა. ფორს-მაჟორის არსებობის საკმარის დამადასტურებელ ცნობად მხარეები განიხილავენ შესაბამისი ქვეყნის სავაჭრო – სამრეწველო პალატის მიერ გაცემულ სათანადო ცნობას;</p>	<p>9.2. For the purposes of the article hereof, “Force-Majeure” means the circumstances insuperable for the parties and beyond their control or in dependent from the parties, which are not related to their errors and negligence and which bear the preliminarily unforeseen character. Such circumstances might be caused due to war or natural calamities, acts of terrorism, epidemic, quarantine, imposing of embargo, etc. For sufficient certificate confirming existence of force-majeure, the parties agree upon to consider the appropriate certificate issued by the Chamber of Commerce and Industry of the relevant country;</p>
<p>9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.</p>	<p>9.3. In case of incurring of force-majeure circumstances, the contractual party, for which it becomes impossible to implement the undertaken liabilities, shall immediately send to the other party the written notification regarding such circumstances or their reasons. If the party sending the notification does not receive the written response from the other party, such party at its discretion, according to the appropriateness and the own capabilities continues to implement the liabilities undertaken due to the Contract hereof and tries to find out such alternative ways for implementation of the liabilities, which would be independent from impact of the force-majeure circumstances.</p>
<p>10. ურთიერთობა მხარეებს შორის 10.1. ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა ხელშეკრულების დამდებ მხარეებს შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით ან ელექტრონული კომუნიკაციის გზით ხელმძღვანელობაზე ან /და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ან ამ კონტრაქტის ფარგლებში უფლებამოსილი საკონტაქტო პირების (ელექტრონული კომუნიკაციის შემთხვევაში) მიერ. ოპერატიული კავშირის დამყარების მიზნით დასაშვებია შეტყობინების მეორე მხარისათვის მიწოდება ელ. ფოსტით (წერილის სკანირებული ვარიანტი) ან ფაქსის გაგზავნის გზით, შემდგომში ორიგინალის მიწოდების პირობით;</p>	<p>10. Relations between the Parties 10.1. Any official relations between the contractual Parties shall be implemented in writing. The written notification, which the Party sends to the other in accordance with the Contract, shall be sent in form of the mail notification or email correspondence signed by the person authorized for management and/or representation or by people authorized in terms of the Contract as a contact persons (for email correspondence). With the purpose to set the immediate and efficient contact, it is possible to send the notifications via e-mail (scanned version of the letter) or fax, with the conditions to deliver the original lately;</p>
<p>10.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება;</p>	<p>10.2. The notification enters into force on the day of its receipt by the addressee or the date set for validation of the notification, whichever incurs later;</p>
<p>10.3. ამ მუხლის პირველი პუნქტის მიზნებისთვის ელექტრონული კომუნიკაციის წარმოების პროცესში პასუხისმგებელი პირის დანიშვნა, საკონტაქტო საკითხების მითითებით ხორციელდება მხარის მიერ წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.</p>	<p>10.3. For the purposes of the first paragraph of this article, the party shall determine the person responsible for the electronic communication with his / her contact information by written notice..</p>
<p>11. ხელშეკრულების პირობების შეცვლა და/ან ვადამდე მოზღა 11.1. წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება და/ან დამატება შეიძლება შეტანილი იქნეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე;</p>	<p>11. Modification of the Terms and Conditions of the Contract and/or early Termination 11.1. Any modification and/or amendment to the Contract hereof might be carried out on the basis of the written agreement by and between the parties;</p>

<p>11.2. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა. ამასთან, ასეთ შემთხვევაშიც დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;</p>	<p>11.2. Modification of the terms and conditions of the state procurement Contract is inadmissible, if as the result of such modifications the total value of the Contract increases or the terms and conditions of the Contract for the procuring entity are deteriorated, except for the cases stipulated by the Article 398 of the Civil Code of Georgia. Besides, the total value of the Contract shall not increase by more than 10% of the total Contract Price;</p>
<p>11.3. ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე მოიშალოს: 11.3.1. მხარეთა შეთანხმებით; 11.3.2. ერთ-ერთი მხარის განცხადებით მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების არსებითად დარღვევის შემთხვევაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს აღნიშნული დარღვევის აღმოჩენიდან 60 (სამოცი) კალენდარულ დღეს;</p>	<p>11.3. The Contract might be terminated preliminarily in the following cases: 11.3.1. Upon agreement of the parties; 11.3.2. With the statement of one of the parties in case of substantial violation of the terms and conditions of the Contract hereof by the other party which does not remedy the violation within 60 (Sixty) calendar days after being noticed;</p>
<p>11.4. „შემსყიდველს“ შეუძლია ხელშეკრულება ვადამდე შეწყვიტოს: 11.4.1. თუ „შემსყიდველისთვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას; 11.4.2. „მიმწოდებლის“ გაკოტრების შემთხვევაში; 11.4.3. თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ „მიმწოდებლის“ მიერ მიწოდებული ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, რაც წარმოადგენს „შემსყიდველის“ მხრიდან „მიმწოდებლის“ მიმართ ნდობის დაკარგვის საფუძველს; 11.4.4. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.</p>	<p>11.4. The Purchaser may terminate the Contract preliminarily in the following cases: 11.4.1. If it becomes known to the Purchaser that due to the reasons beyond the control of the latter, the Purchaser fails to provide implementation of the liabilities imposed hereof; 11.4.2. In case of bankruptcy of the Supplier; 11.4.3. If it becomes known to the Purchaser that the information submitted by the Supplier is false which is the basis for losing of confidence of the Purchaser. 11.4.4. In other cases as stipulated by the applicable legislation of Georgia.</p>
<p>11.5. ამ მუხლის 11.4 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში „შემსყიდველი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.</p>	<p>11.5. In the cases indicated in the paragraph 11.4 hereof, the Purchaser is liable to compensate the value of the actually rendered service to the Supplier.</p>
<p>12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება 12.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;</p>	<p>12. Interfering to Implementation of the Contract 12.1. If during the process of implementation of the Contract the parties face any impeding circumstances, due to which implementation of the terms and conditions of the Contract is interfered, such party shall immediately send to the other party the written notification on fact of interfering, its possible duration and the reasons. The party receiving the notification shall communicate own decision made regarding the indicated circumstances to the other party as soon as possible;</p>
<p>12.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.</p>	<p>12.2. In the event if due to interfering to implementation of the terms and conditions of the Contract the parties agree upon to prolong the term for implementation of the terms and conditions of the Contract, such decision shall be concluded by means of introducing of the modifications into the Contract.</p>
<p>13. დავის განხილვა 13.1. ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა მოლაპარაკებების მეშვეობით, შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან</p>	<p>13. Settlement of Dispute 13.1. The contractual parties hereby agree upon to refer to all the efforts in order to settle all the disputes and the discrepancies incurred by and between the parties regarding the Contract or the issues related to the Contract via amicable negotiations;</p>


<p>დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;</p> <p>13.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეები ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს. დავის განხილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	<p>13.2. If in the term of 30 (thirty) days after commencement of such negotiations the parties fail to agree upon the disputable issues, any party is entitled to solve the dispute by applying to the Georgian court according to the set rule. The dispute will be settled according Georgian legislation.</p>
<p>14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა</p> <p>ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2023 წლის 31 ივლისის ჩათვლით.</p>	<p>14. Validity of the Contract</p> <p>The Contract enters into force upon its signing by the parties and is valid until performance of the terms and the conditions foreseen by the Contract, nevertheless no later than 31 July 2023.</p>
<p>15. დამატებითი პირობები</p> <p>15.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ და ინგლისურ ენაზე ელექტრონულად. ხელშეკრულების ქართულ და ინგლისურ ტექსტებს შორის განსხვავების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ვარიანტს;</p>	<p>15. Miscellaneous</p> <p>15.1. The Contract is drafted in Georgian and English languages, electronically. In case as discrepancy between Georgian and English wording, the text written in the Georgian language shall prevail;</p>
<p>15.2. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მხარეები მოქმედებენ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად;</p>	<p>15.2. In the cases not stipulated hereunder, the parties shall act in accordance with the applicable legislation of Georgia;</p>
<p>15.3. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები შესასრულებლად სავალდებულოა მხარეთათვის და მათი შესაბამისი უფლებამონაცვლებებისთვის. დაუშვებელია წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების გადაცემა მესამე მხარისთვის მეორე მხარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე;</p>	<p>15.3. The terms and conditions stipulated by the Contract hereof are binding and obligatory for implementation by the parties and their legal successors and assignees. It is inadmissible to assign the liabilities foreseen by the Contract hereof to the other party without preliminary written consent by the other party;</p>
<p>16. კონფიდენციალურობა და გაუმჟღავნებლობა</p> <p>მხარეები აცნობიერებენ, რომ სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში“ დანერგულია ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა, ISO/IEC 27001 მიხედვით და შესაბამისად, შემდგომ ურთიერთობებში ითვალისწინებენ „სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ კონფიდენციალურობისა და გაუმჟღავნებლობის პირობებს“, რომელიც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე www.gse.com.ge (ჩვენს შესახებ/შესყიდვები/კონტრაქტის პირობები).</p>	<p>16. Confidentiality and non-disclosure</p> <p>The Parties realize that the JSC "Georgian State ElectroSystem", has implemented the Information Security Management System according to the ISO/IEC 27001 and therefore, in further relationships "Confidentiality and non-disclosure conditions of the JSC "Georgian State ElectroSystem", which are published on the website www.gse.com.ge (ABOUT US/Procurement/Terms and conditions of contract), should be taken into account.</p>
<p>17. მხარეთა რეკვიზიტები</p>	<p>17. Requisites of Parties</p>
<p>„შემსყიდველი“</p>	<p>„The Purchaser“</p>
<p>სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ მის: საქართველო, ქ. თბილისი, 0105, ბარათაშვილის ქ.№2 საიდ. კოდი: 204995176 საბანკო რეკვიზიტები: საქართველო, ქ. თბილისი ს/ს „თიბისი ბანკი“ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიშის №GE02TB0600000102467636 ბანკის ტელეფონი: +(995 32) 227 27 27 ბენეფიციარი: სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“</p>	<p>„Georgian State Electrosystem“ JSC Address: 2, Baratashvili street, 0105, Tbilisi, Georgia Identification code: 204995176 Bank Requisites: Georgia, Tbilisi JSC "TBC BANK" SWIFT: TBCBGE22 IBAN: GE02TB0600000102467636 Bank Tel: +(995 32) 227 27 27 Beneficiary: GEORGIAN STATE ELECTROSYSTEM JSC</p>
<p>„მიმწოდებელი“</p>	<p>„The Supplier“</p>
<p>ShiwaForce.com Inc. 1123 Budapest, Alkotás utca 17-19. Déli point irodaház 7.em. Tel.: +36 (1) 392-4000</p>	<p>ShiwaForce.com Inc. 1123 Budapest, Alkotás utca 17-19. Déli point irodaház 7.em. Tel.: +36 (1) 392-4000 Fax: +36 (1) 392-4009</p>

ხელშეკრულება სს „სსე“-ს ვებ-გვერდის 1 (ერთი) წლიანი მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვის შესახებ. „მიმწოდებელი“ – „ShiwaForce.com Inc“ / Contract for procurement of 1 (one) year support service of JSC "GSE"website., „The Supplier” – „ShiwaForce.com Inc“

Fax: +36 (1) 392-4009 Email: hello@shiwaforce.com VAT number: 23136063-4-43 Company reg. number: 01-10-046943 OTP Bank Nyrt Bank account number: 11703006-20467788-00000000	Email: hello@shiwaforce.com VAT number: 23136063-4-43 Company reg. number: 01-10-046943 OTP Bank Nyrt Bank account number: 11703006-20467788-00000000
--	---

„შემსყიდველი“ / The Purchaser:

„მიმწოდებელი“ / The Supplier:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ / “Georgian State Electrosystem” JSC დირექტორთა საბჭოს წევრი / Member of Board of Directors დავით ვარდიაშვილი / David Vardiashvili	„ShiwaForce.com Inc.“ Deputy CEO/ VP on Business Development Bence Hoffmann / გენერალური დირექტორის მოადგილე, ბიზნესის განვითარების განხრით ვიცე პრეზიდენტი- ბენჯე ჰოფმანი  Director of Agile at Scale Csaba Földházi დირექტორი (Agile at Scale) ცსაბა ფოლდჰაზის
--	--

ხელშეკრულება სს „სსე“-ს ვებ-გვერდის 1 (ერთი) წლიანი მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვის შესახებ. „მომწოდებელი“ – „ShiwaForce.com Inc“ / Contract for procurement of 1 (one) year support service of JSC "GSE" website., „The Supplier” – „ShiwaForce.com Inc“

დანართი N1 (ფასების ცხრილი) /
Annex N1 (Price List)

#	დასახელება. Description	ერთეულის ღირებულება დღგ-ს გარეშე (ევრო) Unit Price (EUR) VAT Excl.	მთლიანი ღირებულება დღგ-ს გარეშე (ევრო) Price (EUR) VAT Excl.
1	სს „სსე“-ს ვებ-გვერდის 1 (ერთი) წლიანი მხარდაჭერის მომსახურება / 1 (one) year support service of JSC "GSE" website	10 500,00	10 500,00
2	ავარიული ტექნიკური მომსახურებისათვის განკუთვნილი 100 საათი / 100 hours of emergency maintenance services	1 hour – 70 EUR 1 საათის ღირებულება – 70 ევრო	7 000,00
მთლიანი ღირებულება დღგ-ს გარეშე Total Price excl. VAT			17 500,00 ევრო/EUR

- ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 17 500,00 ევროს დღგ-ს გარეშე და მოიცავს ვებ-გვერდის 1 წლიანი მომსახურებისა და ავარიული ტექნიკური მომსახურებისათვის განკუთვნილი 100 საათის ღირებულებას. / Total amount of the contract is 17 500,00 EUR excl. VAT and contains: extension of warranty maintenance period for web-site by 1 year and 100 hours of emergency maintenance services.

„შემსყიდველი“ / The Purchaser:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ /
“Georgian State Electrosystem” JSC

დირექტორთა საბჭოს წევრი / Member of Board of Directors
დავით ვარდიასვილი / David Vardiashvili

„მომწოდებელი“ / The Supplier:

Deputy CEO/ VP of Business Development Bence Hoffmann /
გენერალური დირექტორის მოადგილე, ბიზნესის
განვითარების განხორციელებით დაკავებული ბენეჯე ჰოფმანი

Director of Agile at Scale Csaba Földházi
დირექტორი (Agile at Scale) კსაბა ფოლდჰაზის

დანართი N2 (ტექნიკური დავალება) /
Annex N2 (Technical Specification)

ვებ-გვერდის მომსახურების პირობები და ვადები

1. ვებ-გვერდის მხარდაჭერაში იგულისხმება პროგრამული უზრუნველყოფის სტანდარტული ტექნიკური მხარდაჭერა, რაც მოიცავს ხარვეზების გამოსწორებას და მომსახურების პერიოდის განმავლობაში პროგრამული უზრუნველყოფის ახალი ვერსიების და საინსტალაციო პროგრამების მიწოდებას.
2. მომსახურების პერიოდის განმავლობაში წარმოშობილი ხარვეზების გამოსწორება მიმწოდებელმა სტანდარტულ შემთხვევაში უნდა განახორციელოს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 5 კალენდარულ დღეში.
3. კრიტიკული შემთხვევებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს 100 კაც-საათი. აღნიშნული პუნქტის გამოყენების შემთხვევაში შემსყიდველი წერილობით შეტყობინებაში უთითებს, რომ პრობლემა კრიტიკულია და საჭიროებს დაუყოვნებლივ აღმოფხვრას. შესაბამისად მიმწოდებელმა ხარვეზი უნდა გამოასწოროს წერილობითი შეტყობინების მიღებიდან შეძლებისდაგვარად სწრაფად მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა. პრობლემის აღმოფხვრის შემდეგ მიმწოდებელი უგზავნის შემსყიდველს ანგარიშს 100 კაც-საათიანი ლიმიტიდან გამოყენებული საათების რაოდენობის შესახებ, სადაც აღწერილია თუ როგორ გადაიჭრა პრობლემა. ასეთ შემთხვევაში ანაზღაურება ხდება გაწეული მომსახურების შესაბამისად (გამოყენებული საათების დაჯამებით).

Terms and Conditions of Service Website

1. Web site support means standard software support, including defect fixes and the provision of new software and installation software during the service life.
2. In the standard case, the Supplier shall correct the defects arising during the service period not later than 5 calendar days from the written request of the Purchaser.
3. For critical cases 100 hours should be provided. In case of application of this paragraph, the purchaser shall indicate in a written notice that the problem is critical and needs immediate elimination. Accordingly, the Supplier shall correct the defect as soon as possible but no later than 24 hours after receiving the written notice. After troubleshooting, the supplier sends an invoice to the purchaser on the number of hours used within the 100-hour time limit, describing how the problem was resolved. In this case, the remuneration is paid according to the services rendered (by summing the hours used).

„შემსყიდველი“ / The Purchaser:

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ /
“Georgian State Electrosystem” JSC

მმართველთა საბჭოს წევრი / Member of Management Board
დავით ვარდიანი / David Vardiashvili

„მიმწოდებელი“ / The Supplier:

„ShiwaForce.com Inc.“

Deputy CEO/ VP on Business Development Bence Hoffmann/
გენერალური დირექტორის მოადგილე, ბიზნესის
განვითარების განყოფილებაში ვიცე პრეზიდენტი- ბენჯე ჰოფმანი

Director of Agile at Scale Csaba Földházi

დირექტორი (Agile at Scale) კსაბა ფოლდჰაზი



სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა



KA080124941608222

№ 1392

21 / აპრილი / 2022 წ.

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემისთვის“ სახელმწიფო
შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის
გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 19 აპრილს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ წარმოადგინა SMP220001177 მომართვა ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ ვებ-გვერდის 1 წლიანი მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვას (CPV - 72400000 - ინტერნეტმომსახურებები), ღირებულებით 17500.00 ევრო.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, 2016 წლის 18 აგვისტოს N60-7-116-617 ხელშეკრულების ფარგლებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა“ კომპანია „ShiwaForce.com Inc“-სგან შეისყიდა ვებ-გვერდის დამზადების მომსახურება. მოცემულ ეტაპზე საჭიროება 1 (ერთი) წლიანი ვებ-გვერდის მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვა. ტექნიკური მხარდაჭერა მოიცავს ხარვეზების დროულად აღმოფხვრას, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებას და მცირე მასშტაბის ახალი ფუნქციონალის დამატებას. საგულისხმოა, რომ ვინაიდან მითითებული ვებ-გვერდი შექმნილია კომპანია „ShiwaForce.com Inc“-ის მიერ, მისი ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების სხვა მიმწოდებლის მიერ განვევის შემთხვევაში, საჭირო გახდება „ShiwaForce.com Inc“-ის Source კოდების შესწავლა და შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენება, რაც დაკავშირებულია დროის დიდ რესურსთან და ასევე, ვებ-გვერდის ტექნოლოგიურ ნაწილში მესამე პირების ჩარევასთან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ვებ-გვერდის ფუნქციონალის დარღვევა. აღნიშნული დასტურდება „ShiwaForce.com Inc“-ის 2022 წლის 12 აპრილის წერილით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვებ-გვერდის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს თავდაპირველი მიმწოდებლისგან.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საგულისხმოა, რომ დაინტერესებულ პირებს მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სისტემის SMP მოდულში არ გამოუხატავთ მოსაზრება.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17

აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, როგორც მომართვიდან ირკვევა, 2016 წლის 18 აგვისტოს N60-7-116-617 ხელშეკრულების ფარგლებში სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ კომპანია „ShiwaForce.com Inc“-სგან შეისყიდა ვებ-გვერდის დამზადების მომსახურება. მოცემულ ეტაპზე საჭიროება 1 (ერთი) წლიანი ვებ-გვერდის მხარდაჭერის მომსახურების შესყიდვა. ტექნიკური მხარდაჭერა მოიცავს ხარვეზების დროულად აღმოფხვრას, პროგრამული უზრუნველყოფის განახლებას და მცირე მასშტაბის ახალი ფუნქციონალის დამატებას. საგულისხმოა, რომ ვინაიდან მითითებული ვებ-გვერდი შექმნილია კომპანია „ShiwaForce.com Inc“-ის მიერ, მისი ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურების სხვა მიმწოდებლის მიერ გაწევის შემთხვევაში, საჭირო გახდება „ShiwaForce.com Inc“-ის Source კოდების შესწავლა და შესაბამისი ტექნოლოგიის გამოყენება, რაც დაკავშირებულია დროის დიდ რესურსთან და ასევე, ვებ-გვერდის ტექნოლოგიურ ნაწილში შესაძლო პირების ჩარევასთან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ვებ-გვერდის ფუნქციონალის დარღვევა. აღნიშნული დასტურდება „ShiwaForce.com Inc“-ის 2022 წლის 12 აპრილის წერილით. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვებ-გვერდის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების მიზნით, მომსახურების შესყიდვა უნდა განხორციელდეს თავდაპირველი მიმწოდებლისგან.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ შესასყიდი ობიექტის ღირებულება არ აღემატება თავდაპირველად შესყიდული ობიექტის ღირებულებას.

შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, ზემოაღნიშნული მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების საფუძვლით.


ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-8 პუნქტებით და დაადგინა:

1. დაკმაყოფილდეს სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ SMP220001177 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.
2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემენტარულად 

ლევან რამზაძე